



ჩინეთის „დიდი სტრატეგია“: ინტერესები აფრიკაში

ნუსიკო ძანძავა

ლუკა გაგნიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: Nutsiko.dzandzava850@sps.tsu.edu.ge

Email: Lgagnidzee235@gmail.com

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთი არნახული ტემპებით იზრდება - იგი ნელ-ნელა იკრებს პოლიტიკურ გავლენებს რეგიონულ თუ გლობალურ დონეზე და ყალიბდება ეკონომიკურ გიგანტად, რომელიც ამ მაჩვენებლებით თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი უწევს კონკურენციას. ჩინეთის გაძლიერების ფონზე განსაკუთრებით იზრდება ინტერესი მისი „დიდი სტრატეგიისადმი“. ეს უკანასკნელი, ჩინეთის წინაშე მდგარი გამოწვევების შესაბამისად, მრავალი დეკადის განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლებოდა, თუმცა მიზნის მისაღწევად არასდროს მოიაზრებდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. „დიდი სტრატეგიის“ უკანასკნელი ფაზა - „rejuvenation“, რომელიც „გაახალგაზრდავებადაც“ შეგვიძლია ვთარგმნოთ, 2003 წლიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერის - სი ძინპინის მმართველობისას იძენს. მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ ერთ-ერთი მიზანი „Go Global“-ის პოლიტიკის განხორციელებაა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე გავლენის სფეროების გაზრდას მოიაზრებს და ამისთვის აქტიურად იყენებს „რბილ ძალას“. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა ჩინეთის დაინტერესება აფრიკის კონტინენტით. ეს უკანასკნელი ჩინეთისთვის წარმოადგენს ახალ, მიმზიდველ პარტნიორს, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ იდეოლოგიური ძალაუფლების გაზრდის საშუალებად აღიქმება. ჩინეთი, ახლადმომძლავრებული სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფვის რეგიონალური და საბოლოო ჯამში, გლობალური ჰეგემონობისთვის, ინტერესდება უკიდურესად ჩამორჩენილი და ნაკლებად განვითარებული აფრიკის გაძლიერებით. მიგვაჩნია, რომ ამ პოლიტიკის მიზმს სწორედ ჩინეთის „დიდი სტრატეგიასთან“ მივყავართ. ამის დასადასტურებლად, კვლევა მიზნად ისახავს, „დიდი სტრატეგიის“ კონტექსტში განიხილოს ჩინეთ-აფრიკის ურთიერთობები, გაანალიზოს ჩინეთის ამ რეგიონით დაინტერესების მიზეზები და გამოიკვლიოს, თუ როგორ იყენებს აზიის გიგანტი „რბილ ძალას“ აფრიკის კონტინენტზე საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ამისთვის კვლევა აყალიბებს შემდეგ საკვლევ კითხვას: რა როლს თამაშობს აფრიკა ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ მიზნების

განხორციელებაში? კვლევის შედეგად ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ ჩინეთის აფრიკული სახელმწიფოებით დაინტერესება ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ (მეოთხე - აღზევების ფაზის) მიზნების განხორციელებას უკავშირდება და ამ უკანასკნელის პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციური თუ კულტურული გავლენების გაზრდას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, აფრიკა, „რბილი ძალა“, „დიდი სტრატეგია“.

შესავალი

„ჩინეთი არის მძინარე კოლიათი და როდესაც ის გაიღვიძებს, მსოფლიო შეზანზარდება“

ნაპოლეონ ბონაპარტე

2003 წლიდან ჩინეთის პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ე.წ. „დიდი სტრატეგია“, შედის მეოთხე, განახლების, ხელახლა აღზევების ფაზაში, რომლის მიზანიც ჩინეთის „მსოფლიო კლასის ძალად“ ჩამოყალიბებაა. თავის მხრივ, ამ მიზნისკენ მისაღწევ გზაზე, ჩინეთი ინტერესდება აფრიკის კონტინენტით და ცდილობს, მოაქციოს იგი გავლენის სფეროში. ეს სტრატეგია აშკარა ხდება უკვე 2000-იანი წლებიდან, როდესაც ჩინეთი აქტიურად იწყებს აფრიკაში ინვესტიციების ჩადებას, ექსპორტ-იმპორტისა და იდეოლოგიური, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური გავლენების ზრდას (Nantulya et al, 2018).

ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ მნიშვნელოვანი მექანიზმია „Go Global“-ის პოლიტიკა, რაც გულისხმობს მისი გავლენების საერთაშორისო მასშტაბებით გავრცელებას. თავის მხრივ, მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ უმთავრესი ინსტრუმენტი „რბილი ძალაა“, რომლითაც იგი ცდილობს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური გავლენები გაზარდოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

აფრიკის კონტინენტი ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ სამიზნე რეგიონთაგან ერთ-ერთი უპირველესია. ჩინურ-აფრიკული ურთიერთობები ერთ-ერთ უმთავრეს თანამედროვე გლობალურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც უფრო მეტ ინტერესს იმსახურებს საერთაშორისო დონეზე. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ჩინეთის არნახული ეკონომიკური ზრდის ტემპები. BBC-ის პროგნოზზე დაყრდნობით, ჩინეთის მშპ 2028 წლისთვის გადაუსწრებს მსოფლიოს პირველ ეკონომიკის - ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებელს (BBC, 2020). მხოლოდ ეს ფაქტიც კი კმარა იმის აღსაქმელად, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს ჩინეთი მსოფლიო ასპარეზზე. თავის მხრივ,

„დიდი სტრატეგიის“ „ხელახალი აღზევების ფაზაში“ აფრიკით დაინტერესება დიდ გავლენას ახდენს ჩინეთის პოლიტიკურ გავლენებსა და მის პოზიციებზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო) თუ ზოგადად, საერთაშორისო სისტემაში. თემის აქტუალობას ასევე ადასტურებს აფრიკაში „დიდი სტრატეგიის“ მიზნების განხორციელების შედეგად ჩინეთის საექსპორტო ღირებულება, რომელიც 2000-2019 წლის პერიოდში 5 მილიარდი აშშ\$-იდან 113 მილიარდ აშშ\$-მდე გაიზარდა (Statista, 2019). ცხადია, ეს რიცხვები პირდაპირ მეტყველებს ჩინურ-აფრიკული ურთიერთობის ინტენსიურობაზე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა გამოვიკვლიოთ - რა როლს თამაშობს აფრიკა ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ განხორციელების პროცესში? კვლევის მიზანია, განიხილოს ჩინურ-აფრიკული ურთიერთობები ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ პრიზმაში და გამოავლინოს ერთი მხრივ, რა ინვესტ ჩინეთის დაინტერესებას რეგიონით და მეორე მხრივ, რაში გამოიხატება მისი აქტიური ჩართულობა აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე პროცესებში.

ამისთვის, კვლევა ჩინურ-აფრიკულ ურთიერთობებს განიხილავს „დიდი სტრატეგიის“ კონტექსტსა და „რბილი ძალის“ თეორიულ ჩარჩოში, რომელთა ანალიზიც კარგად ხსნის ჩინეთის რეალურ მოტივებსა და მისწრაფებებს. თავის მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთისა და აფრიკის ურთიერთობები საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს ითვლის, კვლევის მეტად დაკონკრეტებისთვის, განსახილველად ავიღეთ ოცდამეერთე საუკუნის პირველი ორი დეკადა, რადგან ვთვლით, რომ სწორედ ამ პერიოდში ვლინდება ყველაზე აშკარად ჩინური „დიდი სტრატეგიისა“ და „რბილი ძალის“ გავლენები აფრიკის კონტინენტზე.

მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ ნარატიული ლიტერატურული მიმოხილვა, რომლის მეშვეობითაც ხდება საკვლევი თემის გარშემო არსებული ინფორმაციის დამუშავება და სიღრმისეული ანალიზი. გარდა ამისა, კვლევა

იყენებს დოკუმენტურ ანალიზს, რისთვისაც იგი მიმართავს თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდს და ახორციელებს პირველადი და მეორადი წყაროების, რიგი დოკუმენტების, ლიდერთა გამოსვლების, მედიისა და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებისა და ანგარიშების ტექსტურ ანალიზს .

ლიტერატურის მიმოხილვა

განსახილველი თემის გარშემო არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვის ნარატიული მეთოდი და ინტერტექსტუალური ურთიერთშეთანხმების კონსტრუირების პროცესის პროგრესული ურთიერთშეთანხმებულობის ტექნიკა, რაც გულისხმობს საერთო კონსენსუსის მქონე წყაროების ანალიზს. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული თემის ირგვლივ არსებული ქართული წყაროები საკმაოდ მწირ ინფორმაციას იძლევა, კვლევა ძირითადად ეყრდნობა უცხოელი ავტორებისა და ორგანიზაციების მთელ რიგ ნაშრომებს, კვლევებსა და სტატისტიკებს.

აფრიკის კონტინენტით ჩინეთის მზარდი დაინტერესება საერთაშორისო ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად შესწავლილი თემაა. ამ საკითხზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი თუ კვლევაა დაწერილი. ამ კუთხით გამორჩეულია ლოიდ თროლის წიგნი „ჩინეთის მზარდი აფრიკული ურთიერთობები“, სადაც ავტორი გამოყოფს ჩინეთის სამ მთავარ ინტერესს აფრიკის კონტინენტზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს. ამ კუთხით, თროლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აფრიკის მდიდარი რესურსებით ჩინეთის დაინტერესებას (თროლი, 2015). თავის მხრივ, იუნ სუნი ბუნებრივი რესურსების გარდა, ყურადღებას სხვა ეკონომიკურ საკითხებზეც ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ჩინეთის

პოლიტიკა აფრიკაში მეტად პრაგმატულია. კერძოდ, მისი თქმით, ჩინეთის პოლიტიკა გზას უხსნის ჩინურ კომპანიებს, კერძო მესაკუთრეებსა თუ ინვესტორებს აფრიკული ბაზრისკენ,

რომელიც ინვესტიციების დაბანდებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო ბაზრად მიიჩნევა (სუნი, 2014).

გავრცელებული მოსაზრებით, აფრიკაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენების დამყარება ჩინეთს ეხმარება საერთაშორისო სისტემაში პოზიციების განმტკიცებასა და პრესტიჟის

ამაღლებაში. მოცემულ ნარატივს იზიარებს თიერი ჰაიროლტი „The Diplomat“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც მას გამოაქვს საინტერესო დასკვნები. კერძოდ, იგი აღნიშნავს რომ ჩინეთი ცდილობს გლობალიზაციის თავისეული სცენარის განვითარებას, სადაც თავად მოგვევლინება მთავარ პოლიტიკურ ძალად, რომლის გავლენებიც განმტკიცებული იქნება „აბრეშუმის გზებისა“ თუ „ერთი სარტყელი ერთი გზის“ პოლიტიკური ქსელებით (ჰაიროლტი, 2021).

რაც შეეხება უსაფრთხოების ინტერესებს, ამ საკითხზე დარგის ექსპერტთა მოსაზრებები კვლავ ერთმანეთს ემთხვევა - ისინი მიიჩნევენ, რომ კონტინენტზე ჩინეთის ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ყოვლად დაუშვებელია მათი საფრთხის ქვეშ დაყენება. შესაბამისად, აფრიკაში ჩინურ ინვესტიციებსა და ჩინელ მოსახლეობას სჭირდება დაცვა. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ აქტიურობს ჩინეთი რეგიონში.

თუმცა, ჩვენ მიერ განხილული ავტორები კონცენტრირდებიან ჩინეთის ცალკეულ ინტერესებზე, მაგრამ არ გვთავაზობენ ყველა ძირითადი მოტივის სინთეზურ ანალიზს. ეს კი წარმოშობს ჩინეთის რეალური მიზნების დასადგენად კვლევის ჩატარების აუცილებლობას. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში ვცდილობთ ჩინეთის ინტერესები აფრიკაში დავეუკავშიროთ მის „დიდ სტრატეგიას“, რაც დაგვეხმარება განხილულ ლიტერატურაში არსებული სიცარიელების შევსებაში.

რაც შეეხება „დიდ სტრატეგიას“, ეს კონცეფცია ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ახსნის მიზნით შეიქმნა. მას შემდეგ კი სხვადასხვა დიდ სახელმწიფოსთან მიმართებით მრავალჯერ იქნა გამოყენებული. ჩინეთის შემთხვევაში, არსებობს გარკვეული უთანხმოება იმის შესახებ, საერთოდ აქვს თუ არა ამ უკანასკნელს „დიდი სტრატეგია“. რუმ დოში თავის ნაშრომში: „დიდი თამაში: ჩინეთის დიდი სტრატეგია ამერიკული წესრიგის ჩასანაცვლებლად“ გამოყოფს მოსაზრებათა ორ ჯგუფს. ის „სკეპტიკოსებად“ მოიხსენიებს მათ, ვისაც არ სჯერა, რომ ჩინეთს უკვე შემუშავებული აქვს „დიდი სტრატეგია“. მეტიც, ზოგი მიიჩნევს, რომ ჩინეთის მრავალმხრივი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ერთი თანმიმდევრული სტრატეგიის ჩამოყალიბება

შეუძლებელიც კია. საპირისპირო „ბანაკში“ არიან ე.წ „მომხრეები“, რომლებსაც სჯერათ, რომ ჩინეთს ნამდვილად აქვს „დიდი სტრატეგია“ და ის რეგიონალურ და გლობალურ დონეზე აშშ-ს ჩამოშორებას ისახავს მიზნად. დოშის ნაშრომი „დიდი სტრატეგიის“ შესწავლის ყველასგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს და სურს ამ კონცეფციის არსებობის მტკიცებულება იპოვოს გავლენიან ჩინურ ტექსტებში, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტებსა და თავად სახელმწიფოს ქცევებში. ნაშრომი ცდილობს აჩვენოს, რომ ჩინეთის „დიდი სტრატეგია“ მდგომარეობს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამყარებული ჰეგემონური დღის წესრიგის შეცვლაში (დოში, 2021). მიუხედავად იმისა, რომ დოში თავის ნაშრომში ზოგადად „დიდი სტრატეგიის“ კონცეფციის საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს, ვფიქრობთ, ნაშრომში მეტისმეტად დიდი ყურადღება ეთმობა აშშ-სთან საერთაშორისო ჰეგემონობისთვის მეტოქეობას. შესაბამისად, ყურადღების მიღმა დარჩენილი ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ შესაძლო ეკონომიკური ასპექტები.

ამ კუთხით არსებულ დანაკლისს გარკვეულწილად ავსებს „ფორბსში“ გამოქვეყნებული დანიელ არაიას სტატია „ჩინეთის დიდი სტრატეგია“, სადაც საუბარია „დიდ სტრატეგიაში“ ტექნოლოგიების როლზე: „[ჩინეთის] დიდი სტრატეგია აგებულია მაღალგანვითარებული ჩინური ტექნოლოგიებისთვის ახალი ბაზრების შექმნაზე“. ამ ბაზრებში კი ლათინური ამერიკისა და აფრიკის კონტინენტები იგულისხმება. სტატიაში განსაკუთრებითაა აღნიშნული ჩინური ამბიციების განხორციელების გზაზე პორტების, ავტომაგისტრალებისა და გაზსადენების როლი. არაია სი ძინპინის „სახასიათო პროექტს“ უწოდებს „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივას და მიიჩნევს, რომ თუ განვითარებად სახელმწიფოებზე ჩამოსული ფსონები წარმატებული აღმოჩნდება, ეს ჩინეთისთვის უდიდესი გეოპოლიტიკური სვლა იქნება (არაია, 2019). ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე კონცენტრირება საშუალებას გვაძლევს უფრო უკეთ გავიაზროთ ეს კომპლექსური კონცეფცია. შესაბამისად, დანიელ არაიას სტატია ამ კუთხით დანყებულ კვლევაში ღირებული დანამატია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩინეთზე ნებისმიერი კუთხით საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ერთი უმნიშვნელოვანესი

თავისებურება - მისი ზომა. ამ ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, როგორც ფართობით, ისე მოსახლეობის რაოდენობით ყოველთვის ახასიათებს კომპლექსურობა და მრავალშრიანობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ კონცეფციაც ბევრ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს მოიცავს, რომელთა ცალკე შესწავლა საკითხის სიღრმისეულად გამოსაკვლევად აუცილებელია. მიგვაჩნია, რომ ამ თემაზე დანერგილ მრავალფეროვან ლიტერატურაში არსებობს გარკვეული „სიცარიელე“ უშუალოდ ჩინეთ-აფრიკის ურთიერთობების, ჩინეთის „დიდი სტრატეგიით“ გაანალიზების კუთხით. შესაბამისად, გვსურს ამ ნაშრომით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკითხის განსხვავებული თვალთახედვით შესწავლაში.

ჩინეთის “დიდი სტრატეგია” აფრიკაში

“დიდი სტრატეგია” (Grand Strategy) წარმოადგენს პოლიტიკურ მეცნიერებებში დამკვიდრებულ ცნობილ ტერმინს, რომლის პოპულარიზაციაც უკავშირდება გამოჩენილ ამერიკელ პროფესორს, ჯონ ლუის გედის. გედისი ამ თემის შესახებ დანერგილი არაერთი წიგნის ავტორია, რომელთაგან გამოსარჩევია ნაშრომი “დიდი სტრატეგიის შესახებ”. მოცემულ წიგნში გედისი “დიდ სტრატეგიას” განმარტავს, როგორც “პოტენციურად შეუზღუდავი მისწრაფებების შეთავსება შეზღუდულ შესაძლებლობებთან”. დიდი სტრატეგიის იდეა უპირიველესად გულისხმობს არსებული მოლოდინების რეალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებას (CaspianReport, 2018). თავის მხრივ, პიტერ ლეიტონი „დიდ სტრატეგიას“ განმარტავს, როგორც ძალაუფლების ფორმების ჩამოყალიბებას, რისი მიზანიც ორ ან მეტ პოლიტიკურ ერთეულს შორის არსებული ურთიერთობების გამიზნულად ცვლილებაა (Layton, 2018).

„დიდი სტრატეგიის“ ქონა საერთაშორისო სისტემის ყველა გავლენიან და ძლიერ სახელმწიფოს როდი ახასიათებს. თუმცა ჩინეთს, როგორც საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშეს

და პოტენციურ გლობალურ ძალას, რომლის მიზნები ბევრად სცდება რეგიონალურ ჰეგემონობას, ნამდვილად გააჩნია თავისი უნიკალური „დიდი სტრატეგია“,

რომელიც პერიოდულად იცვლება. 1949 წლიდან მოყოლებული, გამოიყოფა ჩინეთის 4 “დიდი სტრატეგია”:

- I “დიდი სტრატეგია” - რევოლუცია (1949 – 1977 წწ.);
- II “დიდი სტრატეგია” - აღდგენა (1978 – 1989 წწ.);
- III “დიდი სტრატეგია” - ყოვლისმომცველი სამხედრო ძალის შექმნა (1990 – 2003 წწ.);
- IV “დიდი სტრატეგია” - Rejuvenation - ტერმინი რომელიც შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც “გაახალგაზრდავება”, ხელახლა აღზევება, გაძლიერება (2004 წლიდან - დღემდე) (Scobbel et al 2020)

ოთხივე “დიდი სტრატეგიას” აერთიანებს 3 მთავარი ინტერესი: უსაფრთხოება, სუვერენიტეტი და განვითარება. ჩინეთის გაცხოველებული სწრაფვა მოცემული ინტერესების დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებით იგრძნობა მეოთხე “დიდი სტრატეგიის” ეპოქაში, რომელიც იწყება ჰუ ძინტაოს მმართველობისას, 2003 წელს, ხოლო პიკს აღწევს სი ძინპინის მმართველობისას. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 2012 წელს, დაისახა საკმაოდ თამამი და ამბიციური მიზნები ჩინეთის მომავალთან დაკავშირებით. იგი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არაერთხელ ახსენებს ტერმინს - “ჩინეთის ოცნება”. ამაში კი მოიაზრებს შემდეგს: “მდიდარი, ძლიერი, დემოკრატიული, ცივილიზებული, ჰარმონიული სოციალისტური მოდერნიზებული ქვეყნის მშენებლობა”. მოცემული მიზნის მისაღწევად ჩინეთი ისახავს შემდეგ პრიორიტეტებს: ეკონომიკური განვითარება, საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური კონტროლის მექანიზმის ეფექტურად ფუნქციონირება, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მაქსიმალური გაძლიერება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება. ჩინეთის ამ მიზნებისა და ზოგადად, IV “დიდი სტრატეგიის” გატარების საშუალებად კი მიიჩნევა ხისტი და რბილი ძალების გამოყენება სტაბილურობის, კონტროლის, რეპუტაციისა და მტკიცე პოლიტიკის ხარჯზე (Scobbel et al 2020).

“რბილი ძალა“

ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ მთავარი ამოცანა რბილი ძალის გლობალური მასშტაბებით გავრცელებაა. 2014 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-18 ეროვნულ კონგრესზე მოხსენებისას, სი ძინპინმა წარმოთქვა მნიშვნელოვანი სიტყვები: „ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩინეთის რბილი ძალა ...“ (Biswas & Tortajada 2018). იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკა ხისტზე მეტად რბილი ძალის მექანიზმების გამოყენებით ხასიათდება, საინტერესოა, რას გულისხმობს მოცემული ტერმინი.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეოლიბერალი მკვლევარი, ჯომეფ ნაი, 1990 წელს გამოცემულ წიგნში “Bound to Lead”, გვთავაზობს რბილი, ხისტი და “ჭკვიანი”, ანუ ხისტი და რბილი ძალების კომბინაციის განმარტებებს. ნაი საერთაშორისო

სისტემაში ძალას განმარტავს, როგორც აქტორთა უნარს, მოახდინონ გავლენა სხვა აქტორებზე პირადი (ეროვნული) მიზნების მისაღწევად და ინტერესების გასატარებლად, იძულებითა თუ გადასახადის დაწესებით ან მოხიბვლისა თუ დარწმუნების მეთოდებით. თავის მხრივ, “რბილი ძალა” არის უნარი, მიიღო სასურველი შედეგი დარწმუნების და არა იძულების გზით. (Nye, 2017). სახელმწიფოებს, რომლებიც სათანადოდ იყენებენ თავიანთი ეროვნული ძალის ბერკეტებს, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სხვა პოლიტიკური აქტორების ქმედებებზე. ზოგიერთი სახელმწიფო ამ გავლენისთვის სწორედ “რბილ ძალას” იყენებს. სახელმწიფოს “რბილი ძალა” დიდწილად და მოკიდებული მის გლობალურ იმიჯსა და საერთაშორისო პრესტიჟზე. ჩინეთის შემთხვევაში, მმართველმა ძალამ ჩამოაყალიბა ე.წ “რბილი ძალის სტრატეგიები”, რომელიც მოიცავს საჯარო დიპლომატიის სფეროს და მონოღებულია შექმნას და გაავრცელოს დადებითი საერთაშორისო იმიჯი ჩინეთისთვის (China Power Team, 2016).

ჩინურ-აფრიკული ურთიერთობების ამ უკანასკნელ ფაზაში ჩინეთი განსაკუთრებით ეყრდნობა “რბილი ძალის” ასპექტებს, რათა სასურველ შედეგებს მიაღწიოს როგორც აფრიკის კონტინენტზე, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. განსახილველ თემაზე არსებული ლიტერატურა მრავალ სხვადასხვა პასუხს გვთავაზობს კითხვაზე: რა როლს თამაშობს

აფრიკა ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ განხორციელების პროცესში? თუმცა, ჩვენ მათგან რამდენიმე, ყველაზე მნიშვნელოვანი, გამოვარჩიეთ.

ჩინეთის “დიდი სტრატეგიის” რბილი ძალის მექანიზმები აფრიკაში გამოიხატება 4 ტიპის გავლენების მოპოვებაში. ესენია - პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო. (Ronning 2014).

აფრიკა - ბუნებრივი რესურსების საბაღო

ჩინეთის მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი “Go Global“-ის პოლიტიკის განხორციელებაა, რაც გულისხმობს გარე სამყაროსთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარებას. ამის ერთ-ერთ მიზეზი ჩინეთის განუხრელად მზარდი ეკონომიკის საჭიროებებია. 2021 წლის მონაცემებით მსოფლიოს მეორე უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს, სასიცოცხლოდ ესაჭიროება ახალი ბაზრები და მეტი რესურსები. ეს ეხება მინერალებს, ენერგეტიკულ და სხვა რესურსებს, განსაკუთრებით კი ნავთობს. 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთი მსოფლიო ნავთობის მარაგის 13.2%-ს მოიხმარდა და მსოფლიოში მეორე ადგილას იყო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ (Worldometer, 2016). წარმოების მხრივ კი, 2018 წლის მონაცემებით, მხოლოდ მეშვიდე ადგილს იკავებდა (The World Factbook, 2021). აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ნავთობი ჩინეთისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამის მსგავსად, ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნა სხვა მინერალებზე. ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი მწარმოებელი და მომხმარებელია ისეთი მინერალების, როგორებიცაა ალუმინი, რკინის მადანი, ტყვია და თუთია (Alden, C. & Christina, A., 2009).

ამკარაა, რომ „Go Global“-ის პოლიტიკის ერთ-ერთ პირველ სამიზნედ ჩინეთმა აფრიკა აირჩია. ყველასთვის ცნობილია, რომ აფრიკა, საკმაოდ იშვიათი მინერალებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების წყაროა. აღსანიშნავია, რომ აფრიკაზე მოდის მსოფლიოს მინერალური რესურსების 30%, აქედან ბუნებრივი გაზის 8% და ნავთობის რესურსების 12%. თავის მხრივ, ლიბია და ნიგერია ნავთობის რეზერვებით მსოფლიოში მეათე და მეთერთმეტე

ადგილს იკავებენ (USA Today, 2019). აფრიკის სხვა სახელმწიფოებსაც გააჩნიათ რესურსები, რომლითაც ჩინეთი განსაკუთრებით დაინტერესებულია: ზამბია (რკინის მადანი და სპილენძი), გაბონი (მანგანუმი), ზიმბაბვე (პლატინა), ანგოლა (ალმასი, სპილენძი და რკინის მადანი). ისინი ჩინეთის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია. გავრცელებული მოსაზრებით, “ერთი სარტყელი, ერთი გზის” ცნობილი ინიციატივა ნაწილობრივ სწორედ ამ მიზანსაც ემსახურება - მოახდინოს ამ რესურსებთან ჩინეთის წვდომის დივერსიფიკაცია (Nantulya, 2018). აფრიკის კონტინენტზე ჩინეთის ნავთობის იმპორტის 30% მოდის. თავად ჩინეთის ნავთობმომწოდებლების ჩამონათვალში კი აფრიკული სახელმწიფოები საკმაოდ გამორჩეულ ადგილს იკავებენ: ანგოლა 7.9%-ით, კონგო 1,7%-ით, ხოლო გაბონი 1.2%-ით (The World Factbook, 2021). მეტიც, ნავარაუდევია, რომ ეს ციფრი მიმდინარე დეკადაში კიდევ უფრო გაიზრდება. აზიის ეს გიგანტი განსაკუთრებით ჩართულია აფრიკის ნავთობმომწოდებელ სახელმწიფოებთან - სუდანთან, ანგოლასა და ნიგერიასთან ურთიერთობებში. სუდანის შემთხვევაში, ჩინეთს არ უწევს დასავლურ კომპანიებთან კონკურენციაში ჩართვა, რადგან ისინი ან ეჭვის თვლით უყურებენ ამ სახელმწიფოში ინვესტიციებს, ან სანქციებით არიან შემზღვეულნი. რაც შეეხება ანგოლასა და ნიგერიას, აქ ჩინეთი საკუთარ კონკურენტუნარიანობას ზრდის მთელი რიგი დიპლომატიური, ფინანსური თუ უსაფრთხოების პრაქტიკებით, რომლებიც ხშირად ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არაა (Cooke, 2019).

„დიდი სტრატეგიის“ სხვა ეკონომიკური ასპექტები

ჩინეთის “რბილი ძალა” აფრიკაში მეტწილად ეკონომიკასთან ასოცირდება. ამ ძალის “ინსტრუმენტებში” კი შედის ვაჭრობა, ინვესტიციები, სესხები დაბალ პროცენტში, ან, სულაც უპროცენტოდ, გრანტები და მრავალი სხვა. 2000-იანი წლების დასაწყისიდან, პეკინს მილიონობით დოლარი აქვს გამოყოფილი აფრიკაში “მეგობრების შესაძენად” - ჩინური სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები, მთავრობის მხარდაჭერით, უამრავ ფულსა და ინვესტიციას აბანდებენ აფრიკულ სახელმწიფოებში, სანაცვლოდ კი სხვადასხვა სახის

მოგებას ნახულობენ. სწორედ ამას ემსახურება ჩინეთის “რესურსების დიპლომატიაც” (Liang, 2012).

აფრიკის კონტინენტით ჩინეთის დაინტერესებას თავად ამ სახელმწიფოების ეკონომიკური პოტენციალიც განაპირობებს. სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის წინ, ჩინეთი თავად გახლდათ განვითარების დონით ჩამორჩენილი, ე.წ “მეორეხარისხოვანი სახელმწიფო”. დღესდღეობით, იგივე სიტუაციაშია თავად აფრიკაც - მართალია, ბუნებრივი რესურსები კონტინენტზე უხვადაა, თუმცა მის

მოპოვებასა და გამოყენებას სათანადო ინფრასტრუქტურა, ამ უკანასკნელს კი დიდი ფინანსები ესაჭიროება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფრიკის პოტენციალის გამოყენება, რაც დასავლეთში შესაძლოა “სარისკო ინვესტიციად” იქნეს მიჩნეული, ჩინეთისთვის კარგი შანსია, გაზარდოს თავისი გავლენის სფეროები და ეკონომიკური სარგებელიც ნახოს. თავის დროზე, როდესაც ჩინეთმა თავისი ეკონომიკის გახსნა და რეფორმირება დაიწყო, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა საკუთარ თავზეც გამოსცადა. დღევანდელი აფრიკის რეგიონი ამკარად გვიჩვენებს მსგავსებებს ოთხი ათწლეულის წინანდელ ჩინეთთან და რაც მთავარია, მსგავს პოტენციალსაც ავლენს. ჩინეთის ეკონომიკური დაინტერესების ამხსნელი ერთ-ერთი არგუმენტი ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც, განვითარების ნაკლებობა ხელს უწყობს სწრაფ ზრდას. დროის გასვლასთან ერთად, ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა ნელ-ნელა იკლებს (The World Bank, 2020) (დანართი #1). ჩინეთი უკვე ინდუსტრიალიზებული ქვეყნების რიგებში იკავებს ადგილს. მაშინ, როცა აფრიკა მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად განვითარებული არეალია. მას სწორედ ახლა აქვს სწრაფი განვითარების და თუნდაც “ჩინეთის სასწაულის” გამეორების შანსი.

თავის მხრივ, აფრიკაში ინვესტირება ზრდის ჩინურ ექსპორტის ბაზარს, რაც ხელს შეუწყობს თავად ჩინეთის ეკონომიკის რესტრუქტურირებას. ეს განსაკუთრებით ეხება ინტენსიური პროდუქტი ინდუსტრიების უკან მოტოვებას, რადგან სამუშაო ძალის ფასი ჩინეთში განუხრელად იზრდება. იაფი სამუშაო ძალა, რომლის მთავარი დისტრიბუტორიც მსოფლიოში აქამდე ჩინეთი გახლდათ, ახლა თავად მას ესაჭიროება. სწრაფი ეკონომიკური

განვითარების შედეგად მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე საშუალო კლასის წარმომადგენლად იქცა; სამუშაო ძალის კვალიფიკაცია კი დაბალიდან საშუალო დონეზე გადავიდა. შედეგად, ჩინეთში მუშახელის ფასი გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ამ საჭიროებისთვის ჩინური კომპანიები უკვე აფრიკას იყენებენ. როგორც მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა კონტინენტი, რომლის მცხოვრებთა თითქმის 60% 25 წელს ქვემოთაა, აფრიკა წარმოადგენს ახალგაზრდა, იაფფასიანი მუშახელის “საბაღოს”, რომელთა უმეტესობაც მზადაა უკეთესი მომავლისთვის ყველანაირი პრობლემა განიოს. რაც შეეხება თავად აზიის გიგანტს, ის ძალიან სწრაფი ტემპებით “ბერდება” - უკანასკნელი მონაცემებით ჩინეთის საშუალო ასაკი 38.4 წელია, ხოლო ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის ეს ციფრი 48 წელს მიაღწევს (Statista, 2019). ამ მონაცემებიდან შეგვიძლია დავინახოთ ამკარა ლოგიკური კავშირი - განვითარების ზედა საფეხურზე ასული ჩინეთი, რომლის მოსახლეობის საშუალო ასაკი და მუშახელის ფასი განუხრელად იმატებს, დაინტერესებულია აფრიკის პოტენციალით, რომელსაც შეუძლია დაბალკვალიფიციური, თუმცა ახალგაზრდა და იაფი სამუშაო ძალის შეთავაზება.

ჩინეთის “რბილი ძალის” ეკონომიკური ასპექტები აფრიკაში ინვესტიციებითაცაა გამოხატული. მთელი ამ დროის განმავლობაში პეკინმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აფრიკის სახელმწიფოებთან ვაჭრობისა და ინვესტიციების გასაფართოვებლად. 2019 წელს ჩინური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) რაოდენობამ აფრიკაში 110 მილიარდ დოლარს მიაღწია (Ze Yu, 2021) (დანართი #2). ეს ინვესტიციები მრავალ სხვადასხვა სფეროში მიდის, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეული ის მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომლებზეც ქვემოთ

ვისაუბრებთ. თუმცა, ჩინეთის მიერ აფრიკაში ჩადებული კაპიტალი, რა თქმა უნდა, საჩუქარი არაა. თუნდაც, ხსენებული ინფრასტრუქტურული პროექტები, დაფინანსებულია ჩინეთის “ექსპორტ-იმპორტ ბანკის” მიერ, რომელიც სახელმწიფო მფლობელობაშია. თუმცა საინტერესოა, რომ ისეთი მასშტაბური სამუშაოები, რომლებსაც ჩინეთი აფინანსებს, ხშირად სარისკო ნაბიჯად მიიჩნევა. მაგალითად, დასავლეთის მთავრობებისა თუ დასავლური კორპორაციების მხრიდან ასეთი

პროექტებისთვის დაფინანსების მიღების შანსი ნაკლებია. ჩინეთის ბანკი კი, პეკინსა და აფრიკულ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობების გავლენით, მათთვის სესხებს ნაკლებ, ან საერთოდ უპროცენტოდ გასცემს (Wendover Productions, 2018).

საინტერესოა, ზემოგანხილული FDI-ის სტრუქტურაც. ჩინეთ-აფრიკის კოოპერაციის ფორუმის (FOCAC) 2018 წლის სამიტის დახურვაზე ჩინეთმა გამოაცხადა ახალი, 60 მილიარდ დოლარიანი ფონდის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც აფრიკის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ჩინეთის ინფრასტრუქტურული პროექტები აფრიკაში საკმაოდ გრანდიოზულია. ისინი მოიცავს: სარკინიგზო სისტემებს (მაგალითად მომბასა-ნაირობის 578 კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ამ მანძილს სულ რაღაც 4 საათ ნახევარში ფარავს); ქარხნებს (ნიგერიის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც სახელმწიფოს მფლობელობაშია და ჩინეთის დაფინანსებით აიგო); ჰიდროენერჯეტიკას (გვინეის 450 მეგავატიანი კაშხალი და ანგოლის ჰიდროელექტროსადგური) და ისეთ პროექტებსაც კი, როგორცაა ზიმბაბვეს ახალი პარლამენტი, რომელიც მთავრობამ ჩინეთის მილიონიანი დონაციით ააგო (Tubai, 2018). აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების ნაწილი ჩინეთის ცნობილი პროექტის “ერთი სარტყელი, ერთი გზის” ფარგლებში ხორციელდება. ჩინეთის “რბილი ძალის” კიდევ ერთი, წარმატებული ინსტრუმენტი მათი ეკონომიკური განვითარების მოდელის აფრიკის სახელმწიფოებში დანერგვაა. “ნეო-კონფუციანური სახელმწიფო კაპიტალიზმი” აფრიკული ელიტის ბევრ წარმომადგენელს იზიდავს. მეტიც, ამ მოდელს ისინი ჩინეთზე ენერგიულადაც კი უწევენ ადვოკატირებას (Harper, 2019)

ჩინეთის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები აფრიკაში

„ჩინეთს სწამს, რომ ის ვერ გახდება გლობალური ძალა ... მანამ სანამ მას არ ექნება მოზიდვის (მოხიბლვის) უნარი. მანამ სანამ მას არ ექნება რბილი ძალა.“

კომენტარი

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, ტედ ჰოლი გამოყოფს საერთაშორისო არენაზე ძალაუფლების შემდეგ ტიპებს: ინსტიტუციურ, რეპუტაციურ და წარმომადგენლობით ძალაუფლებას. პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩინეთი აფრიკაში იყენებს „დიდი სტრატეგიის“ ინსტიტუციური ძალაუფლების მექანიზმს, რომელიც ეხება აქტორთა შედარებით ძალაუფლებასა და გავლენებს

კონკრეტულ ორგანიზაციაში, რითაც იგი მოქმედებს სხვა აქტორებზე და მათი მეშვეობით იკმაყოფილებს საკუთარ ინტერესებს (Ronning 2014).

ინსტიტუტურ ძალაუფლებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1971 წელს გაერომ გენერალურ ასამბლეაზე განიხილა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი თანამედროვე ჩინეთის ისტორიაში. კერძოდ, გაიმართა კენჭისყრა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მთავრობა უნდა ყოფილიყო გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თუ ჩინეთის რესპუბლიკა. ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უპირატესობა და მიანიჭა მას ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი. მოცემულ კენჭისყრაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ხმა მისცა რამდენიმე ათეულმა აფრიკულმა სახელმწიფომ. გამოდის, რომ 70-იან წლებში ჩინეთს ფაქტობრივად არანაირი გავლენა არ ჰქონდა აფრიკულ ქვეყნებზე, თუმცა ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა უკვე რამდენიმე ათეული წლის შემდგომ, 2007 წელს, როდესაც გაეროში კენჭისყრა იმართებოდა ჩრდ. კორეაში ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ. ამჯერად, ჩინეთს, რომელიც კორეის მთავარ დამცველად მოგვევლინა, მხარი დაუჭირა ან თავი შეიკავა მის წინააღმდეგ ხმის მიცემისგან 43-მა აფრიკულმა სახელმწიფომ. რატომაც აფრიკის ხმები გაეროში ჩინეთისთვის ასე მნიშვნელოვანი? ხაზგასასმელია, რომ აფრიკის 54 სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 54 ხმას ნიშნავს, რაც უდიდესი პოლიტიკური ძალაა. (Wendover Productions 2018). განვიხილოთ სხვა შემთხვევებიც: 1989 წლის ტიანანმენის მოედნის ინციდენტის შემდგომ, მხოლოდ აფრიკულმა სახელმწიფოებმა დაუჭირეს მხარი ჩინეთს გაეროში (Martinez 2015). 1996 წელს ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებების

დარღვევასთან დაკავშირებით გაეროს კენჭისყრაზე მათმა უმეტესობამ სწორედ ჩინეთის მხარე დაიჭირა, რის შემდგომაც, 2004 წელს, ანალოგიურად, აშშ-ს რეზოლუცია ჩინეთის დარღვევებთან დაკავშირებით ჩააგდო 27-მა სახელმწიფომ, რომელთა ნახევარსაც კვლავ აფრიკული ქვეყნები წარმოადგენდნენ (Martinez 2015, 42). ასევე აღსანიშნავია, 2020 წლის კენჭისყრაც უენევაში, ჰონგ კონგთან დაკავშირებით, სადაც ჩინეთს მხარი 25-მა აფრიკულმა სახელმწიფომ დაუჭირა, რაც, როგორც BBC აღნიშნავს, გახლდათ მოცემულ კენჭისყრაზე ყველაზე დიდი გაერთიანება ნებისმიერი კონტინენტიდან (Olewe, 2021).

ასევე აღსანიშნავია აფრიკის კონტინტებზე ჩინეთის სამხედრო პოლიტიკაც. საინტერესოა, რომ მას 2017 წლიდან ჯიბუტში, სულ რაღაც 7 კილომეტრში ამერიკული სამხედრო შენაერთებისგან, განთავსებული აქვს სამხედრო ბაზა 400 ჯარისკაცით. ჯიბუტში თავს იყრის ფრანგული, იტალიური, ჩინური და ამერიკული ბაზები, რაც ამ პუნქტის მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის. გარდა ამისა, ჯიბუტი ჩინეთისთვის წარმოადგენს ე.წ. ხიდს აფრიკის სხვა, უფრო მდიდარ სახელმწიფოებთან, როგორცაა მაგალითად ეთიოპია. ჯიბუტი ჩინეთის მხრიდან აღიქმება, როგორც “საზღვაო აბრეშუმის გზა” და წარმოადგენს სტაბილურ ქვეყანას, რომლის საგარეო ვალის 70%-მდე ჩინეთზე მოდის. შესაბამისად, ჩინეთი თანამედროვე ისტორიაში პირველად ათავსებს სამხედრო ბაზას უცხო

ქვეყნის ტერიტორიაზე, რითაც ქმნის ახალ პრეცედენტს - ჩინეთის სამხედრო გავლენების ზრდას მთელ მსოფლიოში და უპირველესად აფრიკაში (Chaudhury, 2021).

კულტურის როლი ჩინეთის მეოთხე „დიდ სტრატეგიაში“


პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალები ზემოთ უკვე იქნა განხილული. რაც შეეხება იდეოლოგიას, (სადაც შეგვიძლია ვიგულისხმოთ კულტურა), ჩინეთი აქაც აქტიურად იყენებს “რბილი ძალის” მექანიზმებს საკუთარი მიზნების მისაღწევად. მეტიც, ჩინეთის “რბილი ძალის” ერთ-ერთი უმათავრესი “ინსტრუმენტი” უდავოდ კულტურა და განათლებაა. 2007 წელს, მეჩვიდმეტე ნაციონალურ ყრილობაზე ჩინეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჰუ ძინტაომ განაცხადა: *ჩინელი ერის “დიდი გაახალგაზრდაების”*

თანმდევი აუცილებლად იქნება ჩინური კულტურის აყვავება... ჩვენ აუცილებლად უნდა ვაქციოთ კულტურა ჩვენი ქვეყნის რბილი ძალის ნაწილად... მომავალში გავაძლიერებთ კულტურათა გაცვლის პროცესს საერთაშორისო დონეზე, რათა გავაღრმავოთ ჩინური კულტურის გავლენა მსოფლიოს გარშემო”. ამ განცხადების სისრულეში მოყვანის მცდელობის კარგი მაგალითია ნიერერეს მემორიალური აკადემია ტანზანიაში (Mwalimu Nyerere Memorial Academy), რომელიც ჩინეთის სრული დაფინანსებითაა აგებული. 2018 წლის ივლისში, ჩინეთის ხელისუფლებამ 45 მილიონი დოლარი ჩადო ამ პროექტში, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს FLMSA-ს სახელმწიფოებში დამწყები ლიდერების აღზრდისა და განვითარების. სამხრეთ აფრიკის ყოფილი განმათავისუფლებელი მოძრაობა - FLMSA (Former Liberation Movements of Southern Africa) მოიცავს სამხრეთ აფრიკის 6 ქვეყნის - სამხრეთ აფრიკის, ზიმბაბვეს, ტანზანიის, მოზამბიკის, ნამიბიისა და ანგოლას მთავრობებს. ავტორის მოსაზრებით, ეს ინიციატივა და ქვემოთ მოყვანილი სხვა მრავალი მაგალითი ადასტურებს ჩინეთის მზარდ შესაძლებლობებს, მიაღწიოს თავის სტრატეგიულ მიზნებს კოოპერაციისა და წამახალისებელი ფაქტორების გამოყენებით (Nantulya, 2018). ხსენებული აკადემია, ასევე ჩინურ პროექტ - “კონფუციის ინსტიტუტთან” ერთად, სტუდენტებს სთავაზობს ჩინური ენის კურსებსა და გაცვლითი პროგრამების საშუალებით ჩინეთში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობას. “კონფუციის ინსტიტუტი” ჩინეთის “რბილი ძალის” ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. ინსტიტუტი მთელ აფრიკის კონტინენტზე გავრცელებული და იქ 50-მდე ფილიალს ითვლის. ინსტიტუტის პროექტებთან ერთად, აფრიკაში ფეხს იკიდებს ჩინეთის ოფიციალური ენა - მანდარინი, რომელიც სულ უფრო ხშირად ჩნდება სამხრეთ აფრიკული სკოლების განათლების პროგრამებშიც (Harper, 2019). 2015 წლის მონაცემებით, ჩინეთი 50 ათასამდე აფრიკელ სტუდენტს იღებს გაცვლითი სასწავლო პროგრამების საშუალებით. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიხედვით, ამ ასპექტში, ჩინეთმა ჯერ კიდევ 2014 წელს გადაასწრო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს (The Conversation, 2017).


ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე შედარებით ახლად აღმოცენებული, ანგარიშგასაწევი ძალა, საერთაშორისო საზოგადოების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. მისი სწრაფი ეკონომიკური ზრდა და არნახული პროგრესი აშკარას ხდის, რომ აზიის გიგანტს საკუთარი გავლენების გაზრდასთან დაკავშირებით საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები აქვს. ამ გეგმებს კი ყველაზე უკეთ ჩინეთის „დიდი სტრატეგია“ გამოხატავს, რომელიც მეოთხე, „ხელახლა აღზევების“ ფაზაშია. მეოთხე „დიდი სტრატეგიის“ მიზნების განხორციელების ამ ეტაპზე ჩინეთი ხისტ და აგრესიულ პოლიტიკას ნაკლებად მიმართავს - აზიის ეს გიგანტი სამოქმედოდ “რბილ ძალას” უფრო ამჯობინებს, რაც ყველაზე უკეთ აფრიკის კონტინენტზე ვლინდება. ჩინეთის ურთიერთობები აფრიკის სახელმწიფოებთან ნამდვილად გვთავაზობს “რბილი ძალის” მუშაობის შესანიშნავ მაგალითს. ნაშრომში ვეცადეთ გაგვეანალიზებინა ჩინეთ-აფრიკული ურთიერთობები ჩინეთის „დიდი სტრატეგიის“ კონტექსტში, გამოგვეკვლია რა ინვესტ აზიის გიგანტის დაინტერესებას აფრიკის კონტინენტით და „რბილი ძალის“ რა მეთოდებს იყენებს ის თავისი მიზნების განსახორციელებლად. რომ შევაჯამოთ, ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე ასპექტისგან შედგება: პირველ რიგში, ჩინეთს აფრიკაში იზიდავს მისი უდიდესი, ჯერ კიდევ აუთვისებელი რესურსები - იქნება ეს სასარგებლო წიაღისეული და ენერგორესურსები, თუ ახალგაზრდა და იაფი მუშახელი; ამასთან, აფრიკის სახელმწიფოები ჩინეთისთვის წარმოადგენს საკუთარი მუდმივად მზარდი ეკონომიკის გაფართოებისა და რესტრუქტურისაციის სარბიელს; საბოლოოდ, ჩინურ-აფრიკული ურთიერთობების წარმატება ჩინეთისთვის წარმოადგენს პოლიტიკური გავლენების გაფართოების შესაძლებლობას და ასევე პრესტიჟის ამაღლების შანსს საერთაშორისო სივრცეში. ამ მიზნების მიღწევისთვის ჩინეთი აქტიურად იყენებს “რბილი ძალის” მეთოდებს, რაშიც იგულისხმება: ვაჭრობის ხელშეწყობა, ინვესტიციების წახალისება, დაბალი/უპროცენტო სესხების გაცემა, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, დიპლომატიური და პირადი კავშირების გაბმა, ჩინური კულტურის პოპულარიზაცია და მრავალი სხვა. საბოლოოდ, ეს ყოველივე ერთ წერტილში - ჩინეთის უკანასკნელ, მეოთხე დიდ სტრატეგიაში იკვრება. ქვეყნის ახლანდელ მმართველს თუ დავესესხებით, ეს უკანასკნელი გულისხმობს

“ნაციონალური გაახალგაზრდავების ჩინურ ოცნებას”, რაშიც, როგორც ჩანს, აფრიკის კონტინენტსა და მთელ მის პოტენციალს უდიდესი ადგილი უჭირავს.

დანართი #1: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ცვლილება (%)



დანართი #2: სუბ-საჰარული აფრიკა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alden, C. & Christina, A. (2009). "China and Africa's Natural Resources: The Challenges and Implications for Development and Governance". South African Institute of International Affairs.
2. Araya, D. (2019, January 14). China's Grand Strategy. In *The Forbes*. Retrieved from <https://www.forbes.com/sites/danielaraya/2019/01/14/chinas-grand-strategy/?sh=7586dc581f18>
3. Biswas, A. K., & Tortajada, C. (2018, February 23). China's soft power is on the rise. In China Daily. Retrieved from <https://www.chinadaily.com.cn/a/201802/23/WS5a8f59a9a3106e7dcc13d7b8.html>
4. CaspianReport (2018, August 1). Review: On Grand Strategy by John Lewis Gaddis. [Video]. Youtube. Retrieved: 28.07.2021, https://www.youtube.com/watch?v=OpGwi2Z_wL0
5. Chaudhury, D. R. (2021). Djibouti & Zambia: Victims of Chinese Grand Strategy in Africa. In The Economic Times. Retrieved July 31, 2021, from <https://economictimes.indiatimes.com/news/international/world-news/djibouti-zambia-victims-of-chinese-grand-strategy-in-africa/articleshow/82032763.cms?from=mdr>
6. China Power Team. (2016) "Is China's Soft Power Strategy Working?" China Power. 19.07.2021. <https://chinapower.csis.org/is-chinas-soft-power-strategy-working>
7. Chinese economy to overtake US 'by 2028' due to Covid. (2020). BBC News. July 31, 2021, <https://www.bbc.com/news/world-asia-china-55454146>
8. Cooke, J (2019). "China's Soft Power in Africa". 21.07.2021 https://csis-website-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/legacy_files/files/media/csis/pubs/090310_chinesesoftware_chap3.pdf
9. Doshi, R. (2021, August 2). The long game: China's grand strategy to displace American order . In *Brookings*. Retrieved from <https://www.brookings.edu/essay/the-long-game-chinas-grand-strategy-to-displace-american-order/>
10. Faria, J. (2021, March 22). Value of Chinese exports to Africa from 2000 to 2019 . Statista. July 31, 2021. <https://www.statista.com/statistics/1222683/value-of-chinese-exports-to-africa/>
11. The World Bank (2019). Foreign direct investment, net inflows - Sub-Saharan Africa. July 31, 2021 <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?end=2019&locations=ZG&start=2000>
(დანართი #2)
12. GDP growth (annual %) - China. (2020). In The World Bank. July 31, 2021. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?end=2020&locations=CN&start=2000>
(დანართი #1)
13. Harper, T (2019). "Chinese Soft Power in Africa: Is It Really Soft Power". China-US Focus. 23.07.2021 <https://www.chinausfocus.com/society-culture/chinese-cultural-soft-power-in-africa-is-it-really-soft-power-->
14. Kamal, R & Haroon, O. (2019). "China in Africa". 22.07.2021 https://www.researchgate.net/publication/333836728_China_in_Africa

15. Layton, P. (2018). Grand Strategy. July 28, 2021, https://www.researchgate.net/publication/326249412_Grand_Strategy
16. Liang, W. (2012). China's Soft Power in Africa: Is Economic Power Sufficient? Asian Perspective. July 29, 2021 <http://www.jstor.org/stable/42704810>
17. Martinez, R. (2015). Chinese Soft power, Africa, and the United Nations General Assembly. Las Vegas: University of Nevada. July 31, 2021. <https://digitalscholarship.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3491&context=thesedissertations>
18. Nantulya, P. (2018). "Grand Strategy and China's Soft Power in Africa". Africa Center For Strategic Studies. 20.07.2021 <https://africacenter.org/spotlight/grand-strategy-and-chinas-soft-power-push-in-africa/>
19. Nye, J. (2017). "Soft power: the origins and political progress of a concept". Palgrave Communications. 22.07.2021
20. Olewe, D. (2021). Why African countries back China on human rights. In BBC News. July 31, 2021, <https://www.bbc.com/news/world-africa-56717986>
21. Pairault, T. (2021, August 11). China's Presence in Africa Is at Heart Political . In *The Diplomat*. Retrieved from <https://thediplomat.com/2021/08/chinas-presence-in-africa-is-at-heart-political/>
22. Ronning, H. (2014). How much "Soft Power" does China have in Africa?. Beijing, China: Chr. Michelsen Institute. July 31, 2021, <https://www.cmi.no/file/2916-.pdf>
23. Scobbel, A. (2020). China's Grand Strategy: Trends, Trajectories and Long-Term Competition. Santa Monica, CA: Rand Corporation. July 31, 2021, https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR2700/RR2798/RAND_RR2798.pdf
24. Statista (2019). "Median Age of the Population in China From 1950 to 2100". 30.07.2021 <https://www.statista.com/statistics/232265/mean-age-of-the-chinese-population/>
25. Stebbins, S (2019). "These 15 Countries, as Home to the Largest Reserves, Control the World's Oil". USA Today. 30.07.2021 <https://www.usatoday.com/story/money/2019/05/22/largest-oil-reserves-in-world-15-countries-that-control-the-worlds-oil/39497945/>
26. Sun, Y. (2014, February 7). China's Aid to Africa: Monster or Messiah?. In *Brookings*. Retrieved from <https://www.brookings.edu/opinions/chinas-aid-to-africa-monster-or-messiah/>
27. The Conversation (2017). "Why African Students Are Choosing China". U.S News and World Report. 19.07.2021 <https://www.usnews.com/news/best-countries/articles/2017-06-29/china-second-most-popular-country-for-african-students>
28. The World Bank (2020). "GDP Growth (Annual %) – China". 22.07.2021 <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=CN>
29. The World Factbook (2021) "China". 23.07.2021 <https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/china/#economy%20->
30. Thrall, L. (2015). *China's Expanding African Relations Implications for U.S. National Security* (pp. 9-21). Santa Monica, CA: RAND Corporation. Retrieved from https://www.rand.org/pubs/research_reports/RR905.html

31. Toft, P. (2005). John J. Mearsheimer: An offensive realist between geopolitics and power. Journal of International Relations and Development. July 31, 2021.
https://www.researchgate.net/publication/263323588_John_J_Mearsheimer_An_offensive_realist_between_geopolitics_and_power?enrichId=rgreq-d9c4c57fdac970d42f93072b15423ffb-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOz
32. Tubei, G (2018). “10 Massive Projects the Chinese are Funding in Africa”. Business Insider South Africa. 22.07.2021 <https://www.businessinsider.co.za/here-are-150-million-rand-projects-in-africa-funded-by-china-2018-9>
33. UN Environment Program (2021).”Our Work in Africa”. 27.07.2021
<https://www.unep.org/regions/africa/our-work-africa>
34. Wendover Productions (2018). “How Africa is Becoming China’s China”. [Video].
https://www.youtube.com/watch?v=zQV_DKQkT8o 21.06.2021
35. Worldometer (2016). “Oil Consumption by Country”. 24.07.2021
<https://www.worldometers.info/oil/oil-consumption-by-country/>
36. Ze Yu, S. (2021). “Why Substantial Chinese FDI is Flowing into Africa”. The London School of Economics and Political Science.